

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„შატო კვირიკე“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ქობულეთი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11-23
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
5. ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	17
6. სხვა შემოსავლები	17
7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	17
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
9. კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	18
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	19
11. მარაგი	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
14. საწესდებო კაპიტალი	21
15. სესხები	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	23
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	23
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე

დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი

ქობულეთი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„შატო კვირიკე“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამისი ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არ ქონდა შეფასებული სამართლიანი ღირებულებით ძირითადი საშუალებები, კომპანიის ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება (მიწის, დაუსრულებელი მშენებლობებისა და ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა) ჩატარდა 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლის, შპს ექსპერტი XXI მიერ, ამასთან 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეფასებულია შენობა-ნაგებობების ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის რევაზ გოგიტიძის მიერ, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 17,066,342 ლარის (2023 წელს 17,143,455 ლარი) ოდენობით, ვერც ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებაში, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის დადასტურება, რაც სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია 918,831 ლარის (2023 წელს 1,228,660 ლარი) ოდენობით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „შატო კვირიკე“-საგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. როგორც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში არის აღნიშნული, კომპანიას აქვს უარყოფითი წლის სრული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წელს. ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

ეს მოვლენები და გარემოებები, აგრეთვე, შენიშვნა #2-ში აღწერილი სხვა ფაქტორები, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ექვექცეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. მენეჯმენტის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში.

ჩვენი მოსაზრება ამ მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შესაბამისად თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „მატო კვირიკე“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „მატო კვირიკე“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასლების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასლების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „მატო კვირიკე“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა „მატო კვირიკე“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „მატო კვირიკე“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

25 სექტემბერი 2025 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	5	2,287,292	1,712,330
სხვა შემოსავალი	6	491,938	262,446
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(918,831)	(1,228,660)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	7	(1,521,077)	(1,090,878)
მარაგის ხარჯი	11	(1,515,719)	(1,119,188)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(264,678)	(300,356)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	9	(224,316)	(168,308)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები		(72,678)	(40,521)
საოპერაციო ზარალი		(1,738,068)	(1,973,136)
საპროცენტო შემოსავალი	15	304	-
ფინანსური ხარჯები	15	(2,222,602)	(743,956)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	12	13,772	(164,335)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		7,616	999
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/შემოსავალი		(662,477)	9,441
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(4,601,454)	(2,870,987)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(4,601,454)	(2,870,987)

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე	ნატო დუმბაძე
დირექტორი	ბუღალტერი
2025 წლის 25 სექტემბერი	
ქობულეთი, საქართველო	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	17,066,342	17,143,455
არამატერიალური აქტივები	10	4,299	7,522
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,070,641	17,150,978
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	477,185	871,483
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	54,679	2,291
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	18,601	44,532
გაცემული მისაღები პროცენტები	15	14,338	-
სულ მიმდინარე აქტივები		564,802	918,306
სულ აქტივები:		17,635,442	18,069,284
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	879,515	914,515
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		(12,125,501)	(7,524,047)
დამატებითი კაპიტალი		4,753,154	3,861,367
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,492,831)	(2,748,164)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	15	19,339,270	18,075,453
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,339,270	18,075,453
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	677,279	294,988
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15	3,965,487	2,337,400
საგადასახადო ვალდებულებები		146,239	109,608
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,789,004	2,741,996
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,635,442	18,069,284

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	დამატებითი რეზერვი	სულ
01.01.2023 ნაშთი	914,515	(4,653,060)	2,423,834	(1,314,711)
დამატებითი რეზერვი ზრდა	-	-	1,437,533	1,437,533
მოცემული პერიოდის ზარალი	-	(2,870,987)	-	(2,870,987)
31.12.2023 ნაშთი	914,515	(7,524,047)	3,861,367	(2,748,164)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(35,000)	-	-	(35,000)
დამატებითი რეზერვი ზრდა	-	-	891,787	891,787
მოცემული პერიოდის ზარალი	-	(4,601,454)	-	(4,601,454)
31.12.2024 ნაშთი	879,515	(12,125,501)	4,753,154	(6,492,831)

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
 ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,106,974	2,183,330
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,334,007)	(2,032,409)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,173,762)	(829,563)
გადახდილი გადასახადები	(640,066)	382,842
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(40,861)	(295,800)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(836,184)	(912,577)
რეზერვების და დაფინანსების ზრდა	856,787	1,437,533
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,616	1,503
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	36,219	526,459
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,342,498	15,024,185
სესხის ძირის გადახდა	(736,668)	(14,161,565)
საპროცენტო ხარჯები	(622,184)	(1,057,130)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული ზარალი	(4,936)	(9,919)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(21,290)	(204,428)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(25,932)	26,231
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	44,532	18,301
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18,600	44,532

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შატო კვირიკე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია ქობულეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 1999 წლის 8 აპრილს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, საქართველო, ქობულეთი, კლდიაშვილის ქ., №2 . საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 246951259 .

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) 100%-იანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. ასევე ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და გაყიდვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ბ) გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

გ) უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აქვს უარყოფით წლის სრული შემოსავალი 4,601,454 ლარი (2022 - 2,870,987) ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

კომპანიას გამოწვეული აქვს 2024 წელს გახსნას ახალი სასტუმრო კომპლექსი „შალე კვირიკე“, ამასთან საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაიწყო მრავალფუნქციური აპარტამენტების მშენებლობა, რომლის წინასწარი გაყიდვიდან მიღებული თანხები გენერირება დაიწყო 2025 წლიდან, აღნიშნული განაპირობებს დამატებითი ფინანსების შემოღინებას, დადებით საოპერაციო ფულადი ნაკადებს, (დეტალური მონაცემები პროექტის შესახებ წარმოდგენილია მართველობით ანგარიშგებაში) ასევე, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გამოხატავს მზაობას საჭიროების შემთხვევაში დააფინანსოს კომპანიის საოპერაციო ხარჯები კაპიტალში შენატანების საშუალებით (შენიშვნა 14).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია:

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადანაწილები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს კომპანიებისგან და ფიზიკური პირებისგან მიღებულ შემოსავალს.

კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კომპანიებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით, მცირედი ნაღდი ფულით.

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამრჯელოების ხარჯი

ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით.

ფინანსური ხარჯი

ფინანსურ ხარჯად ძირითადად კლასიფიცირებულია საპროცენტო ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან.

მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შემენის დანახარჯები მოიცავს მათი შემენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლასი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	50-60
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკა	5-10
მოწყობილობები და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

სასარგებლო მომსახურების ვადა

არამატერიალური აქტივები	8-18
-------------------------	------

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ნაყოფის მომცემი კულტურები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ნაყოფის მომცემი კულტურები გამოიყენება წარმოების ზრდის მიზნით. ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ნაყოფის მომცემი კულტურებიდან წარმოიშობა იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, რომლებიც მცენარეებიდან მიღებული ნაყოფისგან მზადდება. ნაყოფის მომცემი კულტურები შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას მსს ფასს-ის საფუძველზე და მათი ფუნქციონირება წარმოების მსგავსია. შესაბამისად, მსს ფასს-ის ცვლილებები (სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები) მოითხოვენ ნაყოფის მომცემი კულტურების ძირითად საშუალებებად აღრიცხვას და ისინი შეყვანილია აღნიშნულ მუხლში. სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ნაყოფის მომცემი კულტურებისგან მიიღება დარჩება მსს ფასს-ის 34-ე განყოფილების ფარგლებში.

ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ნაყოფის მომცემი კულტურების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება განაწილდეს მისი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის (50 წელი) მანძილზე.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება, თუ იარსებებს მინიშნებები იმისა, რომ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

კომპანია მოწეული ყურძნის კლასიფიცირებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კატეგორიაში და მათ უპირატესად იყენებს საკუთარი ღვინის წარმოების მიზნით.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში მისი გაყიდვის თვითღირებულება გამოკლებით. მსს ფასს-ის (მარაგები) მიზნებისთვის, საბაზრო ფასების მიხედვით დაანგარიშებულ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული მოსავლის აღების თარიღში არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაყიდვის თვითღირებულება წარმოადგენს წარმოების სავარაუდო ღირებულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავდაპირველი აღიარებისას - სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის თვითღირებულებით- წარმოშობილი ამონაგები ან ზარალი შეტანილია მოგებაში ან ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებად და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში, გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 914 515 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა გულისხმობს ნასესხები თანხების კაპიტალიზებას.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, დაიწყო როდესაც:

ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

ბ) გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი შეწყდა მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ყველა აქტიური სამუშაო და კომპანიამ აღნიშნული აქტივებიდან მიიღო შემოსავლები

იჯარა

ფინანსური იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მოიჯარე -

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მეიჯარე -

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადაგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	877,212	711,563
შემოსავალი საბანკეტო დარბაზიდან	560,287	567,448
შემოსავალი სასტუმროდან	701,610	354,078
შემოსავალი მარანიდან	148,182	79,241
სულ ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	2,287,292	1,712,330

6. სხვა შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	480,911	-
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	6,444	315
სარგებელი (სახელმწიფო პროგრამებიდან)	4,583	171,564
სხვა შემოსავალი	-	90,566
სულ სხვა შემოსავალი	491,938	262,446

საიჯარო შემოსავლები შედგება სამშენებლო ტექნიკის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებისგან, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს გასაყიდად გამოჩნული საოფისე ინვენტარის და კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	1,468,008	1,071,988
საპენსიო ხარჯი	26,071	18,890
პერსონალის კვების ხარჯი	26,998	-
სულ თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	1,521,077	1,090,878

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ქონების გადასახადი	122,810	113,377
სხვა მომსახურება	46,402	37,180
აუდიტორული მომსახურება	20,000	20,000
პლასტიკური ბარათებით გადახდის საკომისიო	18,664	11,283
სესხის ჯარიმის თანხა	14,005	9,989
სხვა.	8,383	8,258
სატრანსპორტო მომსახურება	7,956	8,419
სადაზღვევო ხარჯი	6,478	6,352
ბანკის მომსახურების საკომისიო	4,469	3,892
საავტორო ჰონორარი	2,734	6,746
პერსონალის გადამზადების ხარჯი (ტრენინგი)	2,686	85
საიჯარო ქირა	2,300	1,725
ტყით სარგებლობის ხარჯი	2,090	-
მივლინების ხარჯები	2,015	6,449
ლიფტის ტექნიკური მომსახურება	1,780	2,405
დაცვის პოლიციის მომსახურება	1,407	1,373
გეზის მომსახურების ხარჯი	500	2,425
ქსელზე მიერთების ხარჯი	-	60,398
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	264,678	300,356

9. კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ელექტროენერგიის მომარაგების ხარჯი	119,736	96,357
ბუნებრივი აირის მომარაგების ხარჯი	65,754	31,773
წყალმომარაგების ხარჯი	27,251	28,316
სადეზინფექციო მომსახურება	4,638	7,425
ინტერნეტ მომსახურება	2,551	2,593
დასუფთავების ხარჯი	1,704	1,704
კომუნიკაციის ხარჯები	2,681	140
სულ კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	224,316	168,308

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
 დირექტორი

ნატო დუმბაძე
 ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
 ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	შენობა	ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერულ ი ტექნიკა	მოწყობილ ობები და სხვა ინვენტარი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	ნარგავები და ნაყოფის მომცემი კულტურები	არამატერია ლური აქტივები	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>										
დეკემბერი 31, 2022	262,541	8,185,053	4,695,927	901,117	340,637	1,196,616	646,871	340,788	16,120	16,585,669
მატება	-	1,859,660	1,773,754	47,614	14,221	208,496	74,156	18,444	-	3,996,345
კლება	-	-	(2,390)	-	-	-	(2,594)	-	-	(4,984)
დეკემბერი 31, 2023	262,541	10,044,713	6,467,291	948,732	354,859	1,405,112	718,433	359,232	16,120	20,577,031
მატება	-	26,584	503,641	124,739	2,983	132,341	65,611	-	-	855,898
კლება	-	-	-	(9,603)	(568)	(700)	(8,000)	-	-	(18,871)
დეკემბერი 31, 2024	262,541	10,071,297	6,970,932	1,063,867	357,274	1,536,753	776,044	359,232	16,120	21,414,058
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>										
დეკემბერი 31, 2022	-	(276,379)	(276,784)	(622,586)	(165,658)	(613,100)	(124,001)	(114,106)	(5,373)	(2,197,986)
ცვეთა გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	594	-	-	594
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(128,898)	(247,676)	(213,359)	(110,566)	(418,076)	(80,594)	(26,267)	(3,224)	(1,228,660)
დეკემბერი 31, 2023	-	(405,277)	(524,460)	(835,945)	(276,224)	(1,031,176)	(204,001)	(140,373)	(8,597)	(3,426,053)
ცვეთა გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	1,467	-	-	1,467
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(178,503)	(354,888)	(70,142)	(37,176)	(194,335)	(71,916)	(8,648.23)	(3,224)	(918,831)
დეკემბერი 31, 2024	-	(583,780)	(879,348)	(906,087)	(313,400)	(1,225,511)	(274,450)	(149,021)	(11,821)	(4,343,417)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>										-
დეკემბერი 31, 2022	262,541	7,908,674	4,419,143	278,531	174,980	583,516	522,869	226,681	10,746	14,387,683
დეკემბერი 31, 2023	262,541	9,639,436	5,942,831	112,787	78,635	373,936	514,431	218,859	7,522	17,150,978
დეკემბერი 31, 2024	262,541	9,487,517	6,091,584	157,781	43,874	311,242	501,593	210,210	4,299	17,070,641

სს ბანკი ქართუდან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) აქვს ძირითადი საშუალებები.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	424,928	368,869
საქონელი	45,791	50,280
დაუმთავრებელი წარმოება	3,983	22,223
მზა პროდუქცია	2,482	430,111
სულ მარაგები	477,185	871,483
აღიარებულია პერიოდის ხარჯად	1,515,719	1,119,188

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	178,855	110,910
წინასწარი გადახდები	491,200	520,530
გაუფასურების ზარალის თანხა	(615,376)	(629,149)
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	54,679	2,291
სხვა მხარეებისაგან მისაღები	54,679	2,291
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	54,679	2,291

საწარმო იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას.

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

2024 წელი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	0%	24,614	-	24,614
30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	5%	2,054	103	1,951
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	15%	19,243	2,886	16,356
181 - 365 დღით ვადაგადაცილებული	50%	23,515	11,757	11,757
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	600,630	600,630	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	-	-	-
სულ		670,056	615,377	54,679

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

2023 წელი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	0%	60	-	60
30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	5%	1,632	82	1,551
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	15%	236	35	201
181 - 365 დღით ვადაგადაცილებული	50%	961	481	481
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	628,552	628,552	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	-	-	-
სულ		631,441	629,149	2,291

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საკრედიტო ზარალის რეზერვი	629,149	464,814
სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში	(13,772)	164,335
სულ საკრედიტო ზარალის რეზერვი	615,376	629,149

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები საღაროში	6,230	32,069
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	12,370	12,045
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	-	418
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	18,601	44,532

14. საწესდებო კაპიტალი		
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	914,515	914,515
შეესებულ კაპიტალის ოდენობა	(35,000)	914,515
სულ საწესდებო კაპიტალი	879,515	914,515

დამატებითი კაპიტალი

დამატებითი კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ შეტანილ თანხებს 2024 წელს 891,787 ლარი (2023 წელს 1,437,533).

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე დირექტორი	ნატო დუმბაძე ბუღალტერი
2025 წლის 25 სექტემბერი	
ქობულეთი, საქართველო	
11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.	

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
15. სესხები
მიღებული სესხები

სესხის ნომერი	დაფარვის ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი
				31.12.2023 ვალუტა	31.12.2023 ექვივალენტი	31.12.2024 ვალუტა	31.12.2024 ექვივალენტი
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C17	9/29/2028	USD	10.00%	34,406	92,531	34,406	96,571
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C22 (EUR)	10/1/2029	EUR	10.09%	215,907	642,388	184,747	541,418
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C23	10/1/2029	EUR	10.08%	212,474	632,173	182,106	533,681
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C24	10/1/2029	GEL	13.50%	-	1,460,000	-	1,293,490
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C25	10/1/2029	EUR	10.09%	34,477	102,579	29,682	86,985
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C26	10/1/2029	EUR	10.03%	36,681	109,138	31,868	93,392
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C27	10/1/2029	EUR	10.09%	36,078	107,342	31,228	91,516
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C28	10/1/2029	EUR	10.08%	175,756	522,927	150,505	441,069
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C30	10/1/2029	USD	12.55%	119,457	321,267	102,562	287,872
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C31	10/1/2029	USD	12.43%	171,250	460,560	150,102	421,307
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C41	10/1/2029	USD	11.42%	415,435	1,117,270	355,494	997,799
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხის	12/31/2033	USD	10.00%	5,464,407	14,695,976	5,746,708	16,129,860
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხის	10/1/2029	GEL		-	-	-	570,000
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები				6,916,327	20,264,151	6,999,407	21,584,960

გადასახდელი პროცენტები

სესხის ნომერი	ვალუტა	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი
		31.12.2023 ვალუტა	31.12.2023 ექვივალენტი	31.12.2024 ვალუტა	31.12.2024 ექვივალენტი
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C17	USD	877	2,358	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C22 (EUR)	EURO	4,959	14,756	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C23	EURO	4,872	14,495	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C24	GEL	-	50,199	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C25	EURO	792	2,357	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C26	EURO	841	2,502	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C27	EURO	829	2,466	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C28	EURO	3,886	11,563	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C30	USD	3,123	8,400	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C31	USD	4,488	12,070	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C41	USD	10,241	27,542	-	-
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხი	EURO	-	-	580,051	1,699,896
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხი	GEL	-	-	-	19,900
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები		34,908	148,707	580,051	1,719,796

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	19,339,270	18,075,453
მოკლევადიანი სესხები	3,965,487	2,337,400
ჯამი	23,304,756	20,412,852

მიღებული სესხებზე საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	2,222,602	743,956
საპროცენტო ხარჯები	2,222,602	743,956

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ

ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
გაცემული სესხი

გაცემული სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10 %.

კომპანიას მიღებული აქვს სესხი დაკავშირებული მხარისგან, იხილეთ (შენიშვნა 17) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	677,279	294,988
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	583,567	21,509
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	93,712	273,479
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	677,279	294,988

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნაშთები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2024	2023
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	568,953	7,639
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2024	2023
მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	60,796	-
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	664,217	3,452,092
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	583,567	21,509
მიღებული სესხები სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	2024	2023
სესხის მიღება	1,342,498	11,364,230
დარიცხული პროცენტი	1,719,796	700
სასესხო ვალდებულებები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2024	2023
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეები	18,419,656	14,695,971

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაიწყო აპარტ-სასტუმროების მშენებლობა,

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
დირექტორი

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ

ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„შატო კვირიკე“

მმართველობის ანგარიშგება

(2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
წლისათვის)

ქობულეთი

2025

წელი

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შპს „შატო კვირიკე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია ქობულეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 1999 წლის 8 აპრილს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, საქართველო, ქობულეთი, კლდიაშვილის ქ., №2 . საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 246951259 .

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) 100%-იანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. ასევე ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და გაყიდვა,

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით, მომზადებულია უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიამ დაიშენებინა ადგილი, როგორც ერთ ერთმა მოწინავემ, ტურიზმის სფეროში, შატო კვირიკე უნიკალური კომპლექსია თავისი კონცეფციით აჭარის რეგიონისთვის, რადგან იგი აერთიანებს ვენახებისა და ღვინის თემატიკას ზღვასთან. ეს არის სასტუმრო კომპლექსი, გაშენებული 6 ჰექტარზე, რომელიც უამრავ საინტერესო სივრცესა და ატრაქციას იტევს – მარანს, აუზს, რესტორნებს, ისტორიულ ნაგებობაში განთავსებულ პატარა მუზეუმს, საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზებს, უნიკალურ რეკრეაციულ გარემოს – ასწლოვანი ეკვალიპტები, ვენახებით, თხილისა და კივის ხეივნებით.

კომპანიამ კომპლექსის მშენებლობის ძირითადი ეტაპი დაასრულა 2021 წლის გაზაფხულში, ტურისტული სეზონის დაწყებამდე, ზაფხულში კი მიიღო ტურისტების პირველი ნაკადი, კომპანიამ 2024 წლის ზაფხულში გახსნა სასტუმრო შალე კვირიკე

კომპანიამ დაიწყო აპარტ-სასტუმროების მშენებლობა, ოთხი ბლოკისგან შემდგარი აპარტ-სასტუმროს კომპლექსი მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს ქობულეთის საცხოვრებელ და საინვესტიციო ბაზარს. პროექტი არა მხოლოდ ზრდის კომპანიის შესაძლებლობებს, არამედ გააძლიერებს რეგიონის განვითარებას ტურიზმისა და ველენს მიმართულებით.

ლოკაცია — კვირიკე — ქობულეთის იმ ნაწილშია, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს. ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის კინტრიშის დაცული ტერიტორია, ბერძნული ტაძრები და მეღვინეობის ტრადიცია, ამ პროექტს დამატებით ღირებულებას ანიჭებს.

პროექტის ინფრასტრუქტურა მოიცავს ღია და შიდა აუზებს, ფიტნესს, სპას, საკონფერენციო სივრცეებს, მოქმედ მარანსა და ვენახს. ცენტრალური პიადა კაფეებითა და კომერციული ზონებით მაცხოვრებლებს სთავაზობს არა მხოლოდ სერვისს, არამედ სრულფასოვან სოციალურ გამოცდილებას. ამ ეკოსისტემაში ინტეგრირება ავტომატურად გულისხმობს შატო კვირიკესა და შალე კვირიკეს არსებულ ინფრასტრუქტურაზე სრულ წვდომასაც.

კვირიკე რეზიდენსის არქიტექტურა პასუხობს როგორც ესთეტიკურ, ისე ფუნქციურ მოთხოვნებს. ქვედა სართულებზე არსებული თაღოვანი კოლონადები ქმნის ღია, სინათლით გაჯერებულ სივრცეს, სადაც განთავსებულია იტალიური სტილის პიადა და კაფეები. ზემოთა სართულების ტრადიციული ორნამენტული აივნები, აგურისფერი ფასადი და ცისფერი ელემენტები დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს და კულტურულ იდენტობას უსვამს ხაზს.

პროექტის საინვესტიციო პოტენციალი მაღალი რენტაბელურობით გამოირჩევა. მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურა და უკვე არსებული ტურისტული ნაკადი ქმნის სტაბილურ ქირავნობას წლის ნებისმიერ სეზონზე. თავის მხრივ, ქობულეთი, როგორც ნაკლებად ათვისებული, თუმცა მზარდი მიმართულება, ინვესტორებს სთავაზობს სტრატეგიულად ხელსაყრელ პირობებს და მაღალ უკუგებას. ამასთან, რეგიონის ველენს-ტურიზმის პოტენციალი დამატებით აძლიერებს მოთხოვნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. შიდა სერვისებისა და მენეჯმენტის გამართული სისტემა კი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და პროგნოზირებად შემოსავლებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვირიკე რეზიდენსის აპარტამენტების კვ.-მ-ის ფასი, მხოლოდ წინასწარი გაყიდვების პერიოდში, 950 აშშ დოლარიდან იწყება. შეთავაზება მოიცავს გადახდის მოქნილ პირობებს და დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ოფიციალურ ვებგვერდს.



კომპანიამ აღნიშნული საქმიანობიდან 2024 წელს 2,779,231 ლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო საქმიანობა დაასრულა ზარალით 4,601,454 ლარით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 17,635,442 ლარს.



სასტუმრო



“შატო კვირიკე”-ში განთავსებულია 15 საქართველოს სხვადასხვა კუთხით დასახელებული კოტეჯი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევიან თავისი ინდივიდუალური ვიზუალით და ორნამენტებით.



რესტორანი ტიფლისი

კომპლექსში ბევრი თანამედროვე და ახალ რეკრეაციულ ზონებთან ერთად შეხვდებით უძველეს შენობას, გამორჩეულს თავისი სტილით, რომელიც ნაშენებია ქვითა და კვერცხის გულით.



რესტორანი კვირიკე





ვენახები



გარე აუზი





2. კომპანიის მართვის ანგარიში

კომპანიაში საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს რიგგარეშე, როგორც დირექტორი ასევე მისი მოვალეობის შემსრულებელი კომპანიის საქმიანობას უძღვება გულმოდგინედ და ერთგულად, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს.

კომპანიის დირექტორი აწარმოებს და ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს დამფუძნებლებს, აცნობებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება/წარადგენს სხდომებზე. დირექტორების მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებლის მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

კომპანია მხარს უჭერს ქვეყნის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს ქვეყნის და ეთიკის კოდექსს. ამრიგად, ჩვენ მზად ვართ ვიმოქმედოთ სამართლიანად ჩვენს მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან და შექმნას და წახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო. კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლების შერჩევას და დანიშვნას დამსახურებისა და ბიზნესის ობიექტური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეალური ან აღქმული ფავორიტიზმი. გარდა ამისა, კომპანია იცავს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს და უარს ამბობს კონკურენტებთან პირის შეკვრაზე ან უკანონო შეთანხმებაზე.

რისკის მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავწეროთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, ჩვენი მშობელი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს, და სადაც ბიზნესის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესებზე. ამრიგად, ჩვენ ვიცავთ საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ მითითებებს და პოლიტიკას.

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის მთავარი პოტენციური რისკები და მათ შესამცირებლად შესაბამისი რეაგირება:

კონკურენცია საქართველოს მასშინძლობის ბაზარზე - საქართველოში მასშინძლობის ბიზნესის ბაზარი კონკურენტულია. ვინაიდან საქართველოში ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბაზარზე ახალი მონაწილეები შევიდნენ და კომპანიის არსებული კონკურენტები აქტიურად ავითარებენ თავიანთ ბიზნესს. კონკურენციის გაზრდის შედეგად, შეიძლება, შემცირდეს, საშუალო დღიური მაჩვენებელი და გაათანაბროს დატვირთვის დონეები, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს სასტუმრო ბიზნესზე და, შესაბამისად, ფინანსურ შედეგებზე. კომპანია აქტიურად არის ჩართული მარკეტინგულ კამპანიებში და აფორმებს მართვის სხვადასხვა ხელშეკრულებას ცნობილ ბრენდებთან, რის გამოც ჩვენი სასტუმროები უფრო მიმზიდველი ხდება მომხმარებლებისთვის.

3. სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანია მუდმივად ცდილობს, შექმნას სოციალურად ორიენტირებული პროდუქტები და მომსახურება, პასუხისმგებლობით მიუდგეს ჩვენს ბიზნეს ოპერაციებს და განახორციელოს სპონსორობა და საქველმოქმედო საქმიანობა.

შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება

შრომის ჰიგიენას და უსაფრთხოებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო ბიზნესში და ამიტომ, მშენებლობის პროცესში შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, კომპანია რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და საგანმანათლებლო სემინარებს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის.

გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას გარემოზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედება აქვს. კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში ასახულია კომპანიის მიდგომა ამ საკითხისადმი. გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება საბინაო მშენებლობის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპანია ქმნის ეკოლოგიურ პროდუქტებს, ვინაიდან აცნობიერებს იმას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შენობების ენერგოეფექტურ დიზაინს მდგრადი განვითარებისთვის და მისი შენობები ენერგიის გრძელვადიანი დაზოგვის საშუალებას იძლევა, ამცირებს ნარჩენების წარმოქმნას და დაბინძურებას ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას.

ენერგიის, წყლისა და მასალების სულ უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, კომპანია ამონტაჟებს ენერგოეფექტურ განათების სისტემებს და იყენებს შემცირებული ემისიების ფანჯრის მინებს და სხვა თანამედროვე საიზოლაციო მასალებს შენობების ფასადების დასაფარად.

გენდერული მრავალფეროვნება

ჩვენი კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, კლიენტის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

ადამიანის უფლებათა პოლიტიკა

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა კომპანიაში დასაქმებულთათვის განკუთვნილი პაკეტის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და განახლებების მიწოდება ელექტრონულად ხდება. ადამიანის უფლებათა პოლიტიკა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აღკვეთა;
- შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო;
- საჩივრების პოლიტიკა.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი შიდა პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი შიდა პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს.

კომპანიაში 2024 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 80 თანამშრომელს, რომლიდანაც მდებდრობითი სქესის წარმომადგენელი 50 % - ია.

ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიას აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის დანერგვა გულისხმობს შემდეგს:

- შიდა ინფორმირების და ცხელი ხაზის სისტემის ამუშავება;
- საჩუქრების ან სხვა სარგებლის გამჟღავნება, თანამშრომლების მიერ გაწეული ან მიღებული მასპინძლობის ჩათვლით;
- კორუმპირებული ქცევის ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
- მესამე მხარის შემოწმება მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკების დასადგენად;
- ბანკების/პარტნიორების/კონტრაგენტების ინფორმირება ანტიკორუფციულ და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ, მათთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო მუხლებს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პარტნიორებთან/კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო საკითხებს;
- ონლაინ ტრენინგების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და მექრთამეობის საკითხებზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი

გია ქათამაძე

25 სექტემბერი 2025 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„შატო კვირიკე“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ქობულეთი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11-23
1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
5. ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	17
6. სხვა შემოსავლები	17
7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	17
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	18
9. კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	18
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	19
11. მარაგი	20
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
14. საწესდებო კაპიტალი	21
15. სესხები	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	23
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	23
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დამფუძნებლის პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქაიხაძე

დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი

ქობულეთი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„შატო კვირიკე“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩატარეთ შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამისი ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არ ქონდა შეფასებული სამართლიანი ღირებულებით ძირითადი საშუალებები, კომპანიის ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება (მიწის, დაუსრულებელი მშენებლობებისა და ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა) ჩატარდა 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლის, შპს ექპერტი XXI მიერ, ამასთან 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეფასებულია შენობა-ნაგებობების ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტორის რევაზ გოგიტიძის მიერ, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 17,066,342 ლარის (2023 წელს 17,143,455 ლარი) ოდენობით, ვერც ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებაში, შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის დადასტურება, რაც სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია 918,831 ლარის (2023 წელს 1,228,660 ლარი) ოდენობით. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს „შატო კვირიკე“-საგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვეკრა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ოპერირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. როგორც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში არის აღნიშნული, კომპანიას აქვს უარყოფითი წლის სრული შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო წელს. ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

ეს მოვლენები და გარემოებები, აგრეთვე, შენიშვნა #2-ში აღწერილი სხვა ფაქტორები, მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რასაც შეუძლია ექვემდებარება კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი. მენეჯმენტის გეგმები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით აგრეთვე მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #2-ში.

ჩვენი მოსაზრება ამ მიმართებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „შატო კვირიკე“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „შატო კვირიკე“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასსების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასსების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ „შატო კვირიკე“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა „შატო კვირიკე“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება „შატო კვირიკე“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

შპს „ინტელექტაუდიტის“ სახელით (რეგ. №SARASF583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ლაშა ვეფხვაძე (რეგ. № SARAS-A-730184)

25 სექტემბერი 2025 წელი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	5	2,287,292	1,712,330
სხვა შემოსავალი	6	491,938	262,446
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(918,831)	(1,228,660)
თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	7	(1,521,077)	(1,090,878)
მარაგის ხარჯი	11	(1,515,719)	(1,119,188)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(264,678)	(300,356)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	9	(224,316)	(168,308)
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები		(72,678)	(40,521)
საოპერაციო ზარალი		(1,738,068)	(1,973,136)
საპროცენტო შემოსავალი	15	304	-
ფინანსური ხარჯები	15	(2,222,602)	(743,956)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	12	13,772	(164,335)
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		7,616	999
საკუროსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/შემოსავალი		(662,477)	9,441
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(4,601,454)	(2,870,987)
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		(4,601,454)	(2,870,987)

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქათამაძე
 დირექტორი

2025 წლის 25 იანვარს
 ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მირითადი საშუალებები	10	17,066,342	17,143,455
არამატერიალური აქტივები	10	4,299	7,522
სულ გრძელვადიანი აქტივები		17,070,641	17,150,978
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	477,185	871,483
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	54,679	2,291
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	18,601	44,532
გაცემული მისაღები პროცენტები	15	14,338	-
სულ მიმდინარე აქტივები		564,802	918,306
სულ აქტივები:		17,635,442	18,069,284
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	879,515	914,515
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		(12,125,501)	(7,524,047)
დამატებითი კაპიტალი		4,753,154	3,861,367
სულ საკუთარი კაპიტალი		(6,492,831)	(2,748,164)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	15	19,339,270	18,075,453
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,339,270	18,075,453
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	677,279	294,988
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	15	3,965,487	2,337,400
საგადასახადო ვალდებულებები		146,239	109,608
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,789,004	2,741,996
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,635,442	18,069,284

ხელმძღვანელის სახელით:

გია ქათამაძე
 დირექტორი

2025 წლის 11-23
 ქობულეთი, საგარეო ქვეყნის

შატო დუმბაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	დამატებითი რეზერვი	სულ
01.01.2023 ნაშთი	914,515	(4,653,060)	2,423,834	(1,314,711)
დამატებითი რეზერვი ზრდა	-	-	1,437,533	1,437,533
მოცემული პერიოდის ზარალი	-	(2,870,987)	-	(2,870,987)
31.12.2023 ნაშთი	914,515	(7,524,047)	3,861,367	(2,748,164)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(35,000)	-	-	(35,000)
დამატებითი რეზერვი ზრდა	-	-	891,787	891,787
მოცემული პერიოდის ზარალი	-	(4,601,454)	-	(4,601,454)
31.12.2024 ნაშთი	879,515	(12,125,501)	4,753,154	(6,492,831)

ხელმძღვანელობის სახელით

გია ქათამაძე

დირექტორი


2025 წლის 25-სექტემბერი

ქობულეთი, საქართველო



ნატო დუმბაძე

ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,106,974	2,183,330
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,334,007)	(2,032,409)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,173,762)	(829,563)
გადახდილი გადასახადები	(640,066)	382,842
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(40,861)	(295,800)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(836,184)	(912,577)
რეზერვების და დაფინანსების ზრდა	856,787	1,437,533
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,616	1,503
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	36,219	526,459
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,342,498	15,024,185
სესხის ძირის გადახდა	(736,668)	(14,161,565)
საპროცენტო ხარჯები	(622,184)	(1,057,130)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული ზარალი	(4,936)	(9,919)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(21,290)	(204,428)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(25,932)	26,231
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	44,532	18,301
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	18,600	44,532

ხელმძღვანელობის წარმომადგენელი

გია ქათამაძე
 დირექტორი

2025 წლის 12 თებერვალი
 ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შატო კვირიკე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია ქობულეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 1999 წლის 8 აპრილს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, საქართველო, ქობულეთი, კლდიაშვილის ქ., №2. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 246951259.

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) 100%-იანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. ასევე ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და გაყიდვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ბ) გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

გ) უწყვეტობის პრინციპი

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აქვს უარყოფით წლის სრული შემოსავალი 4,601,454 ლარი (2022 - 2,870,987) ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან უარყოფითია.

კომპანიას გამიზნული აქვს 2024 წელს გახსნას ახალი სასტუმრო კომპლექსი „შალე კვირიკე“, ამასთან საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე დაიწყო მრავალფუნქციური აპარტამენტების მშენებლობა, რომლის წინასწარი გაყიდვიდან მიღებული თანხები გენერირება დაიწყო 2025 წლიდან, აღნიშნული განაპირობებს დამატებითი ფინანსების შემოღინებას, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადებს, (დეტალური მონაცემები პროექტის შესახებ წარმოდგენილია მართველობით ანგარიშგებაში) ასევე, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გამოხატავს მზაობას საჭიროების შემთხვევაში დააფინანსოს კომპანიის საოპერაციო ხარჯები კაპიტალში შენატანების საშუალებით (შენიშვნა 14).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია:

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო

ხელმძღვანელობის განცხადებით:

გია ქატიშაძე
დირექტორი

2025 წლის 25 ნოემბერი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს კომპანიებისგან და ფიზიკური პირებისგან მიღებულ შემოსავალს.

კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კომპანიებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე, შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით და ელექტრონული ბარათებით, მცირედი ნაღდი ფულით.

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამრჯელოების ხარჯი

ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით.

ფინანსური ხარჯი

ფინანსურ ხარჯად ძირითადად კლასიფიცირებულია საპროცენტო ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან.

მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის

ხელმძღვანელობის ხელმოწერა:

გია ქათამაძე
დირექტორი

2025 წლის 15 თებერვალი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ხელდასმული

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კლასი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	50-60
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული ტექნიკა	5-10
მოწყობილობები და სხვა ინვენტარი	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები	სასარგებლო მომსახურების ვადა
არამატერიალური აქტივები	8-18

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

ხელმოწერილია და დატვირთულია

გია მჭედიაძე
დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ნაყოფის მომცემი კულტურები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ნაყოფის მომცემი კულტურები გამოიყენება წარმოების ზრდის მიზნით. ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ნაყოფის მომცემი კულტურებიდან წარმოიშვება იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, რომლებიც მცენარეებიდან მიღებული ნაყოფისგან მზადდება. ნაყოფის მომცემი კულტურები შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას მსს ფასს-ის საფუძველზე და მათი ფუნქციონირება წარმოების მსგავსია. შესაბამისად, მსს ფასს-ის ცვლილებები (სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები) მოითხოვენ ნაყოფის მომცემი კულტურების ძირითად საშუალებებად აღრიცხვას და ისინი შეყვანილია აღნიშნულ მუხლში. სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ნაყოფის მომცემი კულტურებისგან მიიღება დარჩება მსს ფასს-ის 34-ე განყოფილების ფარგლებში.

ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ნაყოფის მომცემი კულტურების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება განაწილდეს მისი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის (50 წელი) მანძილზე.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება, თუ იარსებებს მინიშნებები იმისა, რომ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

კომპანია მოწეული ყურძნის კლასიფიცირებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კატეგორიაში და მათ უპირატესად იყენებს საკუთარი ღვინის წარმოების მიზნით.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში მისი გაყიდვის თვითღირებულება გამოკლებით. მსს ფასს-ის (მარაგები) მიზნებისთვის, საბაზრო ფასების მიხედვით დაანგარიშებულ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული მოსავლის აღების თარიღში არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაყიდვის თვითღირებულება წარმოადგენს წარმოების სავარაუდო ღირებულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავდაპირველი აღიარებისას - სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის თვითღირებულებით - წარმოშობილი ამონაგები ან ზარალი შეტანილია მოგებაში ან ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებად და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

ხელმძღვანელობის სახელით:

გია კვირიკაძე
დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

მატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში, გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 914 515 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

ხელმძღვანელი ან პირი, რომელიც
გია ქაჯაძე
დირექტორი
2025 წლის 29 იანვარს
ქობულეთი, საქართველო

შატო კვირიკე
CHATEAU KVIRIKE
8951259
საქართველო

შატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა გულისხმობს ნასესხები თანხების კაპიტალიზებას.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, დაიწყო როდესაც:

ა) განსაკუთრებულ აქტივზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

ბ) გაწეულია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

გ) დაწყებულია აუცილებელი სამუშაოები მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯის კაპიტალიზაციის პროცესი შეწყდა მაშინ, როდესაც, ძირითადად, დამთავრდება მოცემული აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ყველა აქტიური სამუშაო და კომპანიამ აღნიშნული აქტივებიდან მიიღო შემოსავლები

იჯარა

ფინანსური იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მოიჯარე -

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მეთიჯარე -

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას

ხელმოწერა

გია ქაჯიშვილი
დირექტორი
2025 წლის 29 იანვარი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადაგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	877,212	711,563
შემოსავალი საბანკეტო დარბაზიდან	560,287	567,448
შემოსავალი სასტუმროდან	701,610	354,078
შემოსავალი მარანიდან	148,182	79,241
სულ ამონაგები სასტუმროს ოპერირებიდან	2,287,292	1,712,330

6. სხვა შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	480,911	-
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	6,444	315
სარგებელი (სახელმწიფო პროგრამებიდან)	4,583	171,564
სხვა შემოსავალი	-	90,566
სულ სხვა შემოსავალი	491,938	262,446

საიჯარო შემოსავლები შედგება სამშენებლო ტექნიკის გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებისგან, საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს გასაყიდად გამიზნული საოფისე ინვენტარის და კომპიუტერული ტექნიკის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

7. თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	1,468,008	1,071,988
საპენსიო ხარჯი	26,071	18,890
პერსონალის კვების ხარჯი	26,998	-
სულ თანამშრომელთა ხელფასი და სხვა სარგებელი	1,521,077	1,090,878

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქაჯაძე
დირექტორი

2025 წლის 10 თვის 10-დღიანი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ქონების გადასახადი	122,810	113,377
სხვა მომსახურება	46,402	37,180
აუდიტორული მომსახურება	20,000	20,000
პლასტიკური ბარათებით გადახდის საკომისიო	18,664	11,283
სესხის ჯარიმის თანხა	14,005	9,989
სხვა.	8,383	8,258
სატრანსპორტო მომსახურება	7,956	8,419
სადაზღვევო ხარჯი	6,478	6,352
ბანკის მომსახურების საკომისიო	4,469	3,892
საავტორო ჰონორარი	2,734	6,746
პერსონალის გადამზადების ხარჯი (ტრენინგი)	2,686	85
საიჯარო ქირა	2,300	1,725
ტყით სარგებლობის ხარჯი	2,090	-
მივლინების ხარჯები	2,015	6,449
ლიფტის ტექნიკური მომსახურება	1,780	2,405
დაცვის პოლიციის მომსახურება	1,407	1,373
გეზის მომსახურების ხარჯი	500	2,425
ქსელზე მიერთების ხარჯი	-	60,398
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	264,678	300,356

9. კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ელექტროენერგიის მომარაგების ხარჯი	119,736	96,357
ბუნებრივი აირის მომარაგების ხარჯი	65,754	31,773
წყალმომარაგების ხარჯი	27,251	28,316
სადეზინფექციო მომსახურება	4,638	7,425
ინტერნეტ მომსახურება	2,551	2,593
დასუფთავების ხარჯი	1,704	1,704
კომუნიკაციის ხარჯები	2,681	140
სულ კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	224,316	168,308

ხელმძღვანელობის სახელით:

გია ქაჯაშვილი
 დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი
 ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ქართული ლარი)

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	შენიშვნა	ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილობა კომპიუტერული იტექნიკა	მოწყობითი ობიექტები და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ნარგავები და ნაყოფის მოგები კულტურები	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება										
დეკემბერი 31, 2022	262,541	8,185,053	4,695,927	901,117	340,637	1,196,616	646,871	340,788	16,120	16,585,669
მატება	-	1,859,660	1,773,754	47,614	14,221	208,496	74,156	18,444	-	3,996,345
კლება	-	-	(2,390)	-	-	-	(2,594)	-	-	(4,984)
დეკემბერი 31, 2023	262,541	10,044,713	6,467,291	948,732	354,859	1,405,112	718,433	359,232	16,120	20,577,031
მატება	-	26,584	503,641	124,739	2,983	132,341	65,611	-	-	855,898
კლება	-	-	-	(9,603)	(568)	(700)	(8,000)	-	-	(18,871)
დეკემბერი 31, 2024	262,541	10,071,297	6,970,932	1,063,867	357,274	1,536,753	776,044	359,232	16,120	21,414,058
დაგროვილი ცვლილება										
გაუფასურება										
დეკემბერი 31, 2022	-	(276,379)	(276,784)	(622,586)	(165,658)	(613,100)	(124,001)	(114,106)	(5,373)	(2,197,986)
ცვლილება	-	-	-	-	-	-	594	-	-	594
მიმდინარე წლის ცვლილება	-	(128,898)	(247,676)	(213,359)	(110,566)	(418,076)	(80,594)	(26,267)	(3,224)	(1,228,660)
დეკემბერი 31, 2023	-	(405,277)	(524,460)	(835,945)	(276,224)	(1,031,176)	(204,001)	(140,373)	(8,597)	(3,426,053)
ცვლილება	-	-	-	-	-	-	1,467	-	-	1,467
მიმდინარე წლის ცვლილება	-	(178,503)	(354,888)	(70,142)	(37,176)	(194,335)	(71,916)	(8,648.23)	(3,224)	(918,831)
დეკემბერი 31, 2024	-	(583,780)	(879,348)	(906,087)	(313,400)	(1,225,511)	(274,450)	(149,021)	(11,821)	(4,343,417)
ნარჩენი ღირებულება										
დეკემბერი 31, 2022	262,541	7,908,674	4,419,143	278,531	174,980	583,516	522,869	226,681	10,746	14,387,683
დეკემბერი 31, 2023	262,541	9,639,436	5,942,831	112,787	78,635	373,936	514,431	218,859	7,522	17,150,978
დეკემბერი 31, 2024	262,541	9,487,517	6,091,584	157,781	43,874	311,242	501,593	210,210	4,299	17,070,641

სს ბაზკი ქართულიდან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) აქვს ძირითადი საშუალებები.

ხელმოწერა: 
 გია ქაიხაძე
 დირექტორი
 2025 წლის 15 სექტემბერი
 ქობულეთი, საქართველო


 ნატო დუმბაძე
 ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. მარაგი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	424,928	368,869
საქონელი	45,791	50,280
დაუმთავრებელი წარმოება	3,983	22,223
მზა პროდუქცია	2,482	430,111
სულ მარაგები	477,185	871,483
აღიარებულია პერიოდის ხარჯად	1,515,719	1,119,188

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	178,855	110,910
წინასწარი გადახდები	491,200	520,530
გაუფასურების ზარალის თანხა	(615,376)	(629,149)
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	54,679	2,291
სხვა მხარეებისაგან მისაღები	54,679	2,291
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	54,679	2,291

საწარმო იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული, საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას.

2024 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

2024 წელი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	0%	24,614	-	24,614
30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	5%	2,054	103	1,951
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	15%	19,243	2,886	16,356
181 - 365 დღით ვადაგადაცილებული	50%	23,515	11,757	11,757
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	600,630	600,630	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	-	-	-
სულ		670,056	615,377	54,679

ხელმოწერა
გენერალური დირექტორი
2025 წლის 11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ქობულეთი, საქართველო




ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
2023 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

2023 წელი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
მიმდინარე	0%	60	-	60
30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	5%	1,632	82	1,551
91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	15%	236	35	201
181 - 365 დღით ვადაგადაცილებული	50%	961	481	481
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	628,552	628,552	-
ინდივიდუალური შეფასება	0%	-	-	-
სულ		631,441	629,149	2,291

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საკრედიტო ზარალის რეზერვი	629,149	464,814
სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში	(13,772)	164,335
სულ საკრედიტო ზარალის რეზერვი	615,376	629,149

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	6,230	32,069
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	12,370	12,045
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	-	418
სულ ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	18,601	44,532

14. საწესდებო კაპიტალი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	914,515	914,515
შევსებული კაპიტალის ოდენობა	(35,000)	914,515
სულ საწესდებო კაპიტალი	879,515	914,515

დამატებითი კაპიტალი

დამატებითი კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ შეტანილ თანხებს 2024 წელს 891,787 ლარი (2023 წელს 1,437,533).

ხელმოწერის სახელით:
გია წათამაძე
დირექტორი
2025 წლის 27 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მატო დუმბაძე
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მატო კვირიკე“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

15. სესხები
 მიღებული სესხები

სესხის ნომერი	დაფარვის ვადა	ვალუტა	წლიური პროცენტი	ნაშთი 31.12.2023 ვალუტა	ნაშთი 31.12.2023 ექვივალენტი	ნაშთი 31.12.2024 ვალუტა	ნაშთი 31.12.2024 ექვივალენტი
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C17	9/29/2028	USD	10.00%	34,406	92,531	34,406	96,571
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C22 (EUR)	10/1/2029	EUR	10.09%	215,907	642,388	184,747	541,418
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C23	10/1/2029	EUR	10.08%	212,474	632,173	182,106	533,681
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C24	10/1/2029	GEL	13.50%	-	1,460,000	-	1,293,490
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C25	10/1/2029	EUR	10.09%	34,477	102,579	29,682	86,985
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C26	10/1/2029	EUR	10.03%	36,681	109,138	31,868	93,392
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C27	10/1/2029	EUR	10.09%	36,078	107,342	31,228	91,516
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C28	10/1/2029	EUR	10.08%	175,756	522,927	150,505	441,069
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C30	10/1/2029	USD	12.55%	119,457	321,267	102,562	287,872
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C31	10/1/2029	USD	12.43%	171,250	460,560	150,102	421,307
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C41	10/1/2029	USD	11.42%	415,435	1,117,270	355,494	997,799
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხის	12/31/2033	USD	10.00%	5,464,407	14,695,976	5,746,708	16,129,860
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხის	10/1/2029	GEL	-	-	-	-	570,000
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები				6,916,327	20,264,151	6,999,407	21,584,960

გადასახდელი პროცენტები

სესხის ნომერი	ვალუტა	ნაშთი 31.12.2023 ვალუტა	ნაშთი 31.12.2023 ექვივალენტი	ნაშთი 31.12.2024 ვალუტა	ნაშთი 31.12.2024 ექვივალენტი
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C17	USD	877	2,358	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C22 (EUR)	EURO	4,959	14,756	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C23	EURO	4,872	14,495	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C24	GEL	-	50,199	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C25	EURO	792	2,357	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C26	EURO	841	2,502	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C27	EURO	829	2,466	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C28	EURO	3,886	11,563	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C30	USD	3,123	8,400	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C31	USD	4,488	12,070	-	-
საკრედიტო ხელშეკრულება #570-C41	USD	10,241	27,542	-	-
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხი	EURO	-	-	580,051	1,699,896
დაკავშირებული მხარედან აღებული სესხი	GEL	-	-	-	19,900
სულ ნასესხები გრძელვადიანი სახსრები		34,908	148,707	580,051	1,719,796

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული მიღებული სესხები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები	19,339,270	18,075,453
მოკლევადიანი სესხები	3,965,487	2,337,400
ჯამი	23,304,756	20,412,852

მიღებული სესხებზე საპროცენტო ხარჯმა შეადგინა

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	2,222,602	743,956
საპროცენტო ხარჯები	2,222,602	743,956

ხელმძღვანელობის საბჭოს

გია ქათამიძე
 დირექტორი

2025 წლის 25 სექტემბერი
 ქობულეთი, საქართველო

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შატო კვირიკე“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)
გაცემული სესხი

გაცემული სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10 %.

კომპანიას მიღებული აქვს სესხი დაკავშირებული მხარისგან, იხილეთ (შენიშვნა 17) ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	677,279	294,988
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	583,567	21,509
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	93,712	273,479
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	677,279	294,988

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ნათები და ოპერაციები კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელ პირებსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები შედგება დირექტორებისგან, ხოლო სხვა დაკავშირებული მხარეები კომპანიებისაგან, რომლებშიც ფლობენ წილებს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები, ან იკავებენ მმართველობით პოზიციებს.

გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	2024	2023
საქონლის გაყიდვა/მომსახურების გაწევა	568,953	7,639
მოთხოვნები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2024	2023
მოთხოვნები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	60,796	-
შესყიდვები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023
საქონლის ყიდვა/მომსახურების მიღება სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	664,217	3,452,092
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებიდან	2024	2023
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების კომპანიებთან	583,567	21,509
მიღებული სესხები სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	2024	2023
სესხის მიღება	1,342,498	11,364,230
დარიცხული პროცენტი	1,719,796	700
სასესხო ვალდებულებები პერიოდის ბოლოს მდგომარეობით	2024	2023
ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეები	18,419,656	14,695,971

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ დაიწყო აპარტ-სასტუმროების მშენებლობა,

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს.

ხელმძღვანელის სახელით:
გია ქიქოძე
დირექტორი
2025 წლის 25 სექტემბერი
ქობულეთი, საქართველო

ნატო დუმბაძე
ბუღალტერი

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„შატო კვირიკე“

მმართველობის ანგარიშგება

(2024 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული
წლისათვის)

ქობულეთი

2025

წელი

ზოგადი ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

შპს „შატო კვირიკე“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია ქობულეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 1999 წლის 8 აპრილს. იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო, საქართველო, ქობულეთი, კლდიაშვილის ქ., №2 . საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 246951259 .

საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი - გიორგი ჭყონია (პ/ნ 61001002082) 100%-იანი წილის მფლობელი.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. ასევე ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და გაყიდვა.

კომპანიის შინაგანაწესი შემუშავებულია და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ. ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით, მომზადებულია უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიამ დაიკვიდრა ადგილი, როგორც ერთ ერთმა მოწინავემ, ტურიზმის სფეროში, შატო კვირიკე უნიკალური კომპლექსია თავისი კონცეფციით აჭარის რეგიონისთვის, რადგან იგი აერთიანებს ვენახებისა და ღვინის თემატიკას ზღვასთან. ეს არის სასტუმრო კომპლექსი, გაშენებული 6 ჰექტარზე, რომელიც უამრავ საინტერესო სივრცესა და ატრაქციას იტევს – მარანს, აუზს, რესტორნებს, ისტორიულ ნაგებობაში განთავსებულ პატარა მუზეუმს, საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზებს, უნიკალურ რეკრეაციულ გარემოს – ასწლოვანი ევკალიპტები, ვენახებით, თხილისა და კივის ხეივნებით.

კომპანიამ კომპლექსის მშენებლობის ძირითადი ეტაპი დაასრულა 2021 წლის გაზაფხულში, ტურისტული სეზონის დაწყებამდე, ზაფხულში კი მიიღო ტურისტების პირველი ნაკადი, კომპანიამ 2024 წლის ზაფხულში გახსნა სასტუმრო შალე კვირიკე

კომპანიამ დაიწყო აპარტ-სასტუმროების მშენებლობა, ოთხი ბლოკისგან შემდგარი აპარტ-სასტუმროს კომპლექსი მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნებს ქობულეთის საცხოვრებელ და საინვესტიციო ბაზარს. პროექტი არა მხოლოდ ზრდის კომპანიის შესაძლებლობებს, არამედ გააძლიერებს რეგიონის განვითარებას ტურიზმისა და ველენს მიმართულებით.


ლოკაცია — კვირიკე — ქობულეთის იმ ნაწილშია, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებს განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს. ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის კინტრიშის დაცული ტერიტორია, ბერძნული ტაძრები და მეღვინეობის ტრადიცია, ამ პროექტს დამატებით ღირებულებას ანიჭებს.

პროექტის ინფრასტრუქტურა მოიცავს ღია და შიდა აუზებს, ფიტნესს, სპას, საკონფერენციო სივრცეებს, მოქმედ მარანსა და ვენახს. ცენტრალური პიადა კაფეებითა და კომერციული ზონებით მაცხოვრებლებს სთავაზობს არა მხოლოდ სერვისს, არამედ სრულფასოვან სოციალურ გამოცდილებას. ამ ეკოსისტემაში ინტეგრირება ავტომატურად გულისხმობს შატო კვირიკესა და შალე კვირიკეს არსებულ ინფრასტრუქტურაზე სრულ წვდომასაც.

კვირიკე რეზიდენსის არქიტექტურა პასუხობს როგორც ესთეტიკურ, ისე ფუნქციურ მოთხოვნებს. ქვედა სართულებზე არსებული თაღოვანი კოლონადები ქმნის ღია, სინათლით გაჯერებულ სივრცეს, სადაც განთავსებულია იტალიური სტილის პიადა და კაფეები. ზემოთა სართულების ტრადიციული ორნამენტული აივნები, აგურისფერი ფასადი და ცისფერი ელემენტები დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენს და კულტურულ იდენტობას უსვამს ხაზს.

პროექტის საინვესტიციო პოტენციალი მაღალი რენტაბელურობით გამოირჩევა. მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურა და უკვე არსებული ტურისტული ნაკადი ქმნის სტაბილურ ქირავნობას წლის ნებისმიერ სეზონზე. თავის მხრივ, ქობულეთი, როგორც ნაკლებად ათვისებული, თუმცა მზარდი მიმართულება, ინვესტორებს სთავაზობს სტრატეგიულად ხელსაყრელ პირობებს და მაღალ უკუგებას. ამასთან, რეგიონის ველენს-ტურიზმის პოტენციალი დამატებით აძლიერებს მოთხოვნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. შიდა სერვისებისა და მენეჯმენტის გამართული სისტემა კი უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს, მომხმარებელთა კმაყოფილებასა და პროფანოზირებად შემოსავლებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვირიკე რეზიდენსის აპარტამენტების კვ.მ-ის ფასი, მხოლოდ წინასწარი გაყიდვების პერიოდში, 950 აშშ დოლარიდან იწყება. შეთავაზება მოიცავს გადახდის მოქნილ პირობებს და დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ოფიციალურ ვებგვერდს.



კომპანიამ აღნიშნული საქმიანობიდან 2024 წელს 2,779,231 ლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო საქმიანობა დაასრულა ზარალით 4,601,454 ლარით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივების ღირებულება შეადგენს 17,635,442 ლარს.



[სასტუმრო](#)



“შატო კვირიკე”-ში განთავსებულია 15 საქართველოს სხვადასხვა კუთხით დასახელებული კოტეჯი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოირჩევიან თავისი ინდივიდუალური ვიზუალით და ორნამენტებით.



რესტორანი ტიფლისი

კომპლექსში ბევრი თანამედროვე და ახალ რეკონსტრუქციულ ზონებთან ერთად შეხვდებით უძველეს შენობას, გამორჩეულს თავისი სტილით, რომელიც ნაშენებია ქვითა და კვერცხის გულით.



რესტორანი კვირიკე











2. კომპანიის მართვის ანგარიში

კომპანიაში საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ, კომპანიის ფინანსური საქმიანობის და მისი სამომავლო გეგმების განხილვის მიზნით. საერთო კრება შეიძლება დაინიშნოს და ჩატარდეს რიგგარეშე, როგორც დირექტორი ასევე მისი მოვალეობის შემსრულებელი კომპანიის საქმიანობას უძღვება გულმოდგინედ და ერთგულად, იცავს წესდების დებულებას და მოქმედი კანონების მოთხოვნებს.

კომპანიის დირექტორი აწარმოებს და ახორციელებს კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა სტრატეგიულ რჩევებს და წარუდგენს შედეგებს და დასკვნებს დამფუძნებლებს, აცნობებს ყველა შესაბამის დაინტერესებულ პირს კომპანიის მიზნების შესრულების შესახებ, მართავს რესურსებს, თანამშრომლების მოზიდვის, დაქირავებისა და შენარჩუნების ჩათვლით, ამზადებს წლიურ ანგარიშებს და ესწრება/წარადგენს სხდომებზე. დირექტორების მოვალეობებში შედის: კომპანიის დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის წინასწარ განხილვა, შესაბამისი ინფორმაციის, წინადადებებისა და მათ შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება, კომპანიის წესების, შინაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შედგენა, რომელიც დამტკიცებულია დამფუძნებლის მიერ მათი შესრულების უზრუნველსაყოფად;

კომპანია მხარს უჭერს ქვეყნის მაღალ სტანდარტებს თავისი საქმიანობის ყველა ასპექტში და იცავს ქვეყნის და ეთიკის კოდექსს. ამრიგად, ჩვენ მზად ვართ ვიმოქმედოთ სამართლიანად ჩვენს მომხმარებლებთან, კონკურენტებთან და მომწოდებლებთან. კომპანია ცდილობს დაამყაროს და შეინარჩუნოს გრძელვადიანი და ორმხრივი სარგებლის მომტანი ურთიერთობა თავის მომხმარებლებთან და შექმნას და წაახალისოს ნდობის, გამჭვირვალობის, ინოვაციისა და თანამიმდევრულობის გარემო. კომპანია უზრუნველყოფს მომწოდებლების შერჩევას და დანიშვნას დამსახურებისა და ბიზნესის ობიექტური სტანდარტების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეალური ან აღქმული ფავორიტიზმი. გარდა ამისა, კომპანია იცავს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს და უარს ამბობს კონკურენტებთან პირის შეკვრაზე ან უკანონო შეთანხმებაზე.

რისკის მართვა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვაზე და შიდა კონტროლზე. ვცდილობთ დავეწვდეთ რისკების ეფექტური და ძლიერი მართვა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდა ამისა, ჩვენი მშობელი კომპანიის უმთავრესი პრიორიტეტია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც საჭიროა გახსნილობა და გამჭვირვალობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვმართავთ რისკებს, და სადაც ბიზნესის ხელმძღვანელები ანგარიშვალდებულნი არიან რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესებზე. ამრიგად, ჩვენ ვიცავთ საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ დადგენილ მითითებებს და პოლიტიკას.

ქვემოთ მოყვანილია კომპანიის მთავარი პოტენციური რისკები და მათ შესამცირებლად შესაბამისი რეაგირება:

კონკურენცია საქართველოს მასპინძლობის ბაზარზე - საქართველოში მასპინძლობის ბიზნესის ბაზარი კონკურენტულია. ვინაიდან საქართველოში ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბაზარზე ახალი მონაწილეები შევიდნენ და კომპანიის არსებული კონკურენტები აქტიურად ავითარებენ თავიანთ ბიზნესს. კონკურენციის გაზრდის შედეგად, შეიძლება, შემცირდეს, საშუალო დღიური მაჩვენებელი და გაათანაბროს დატვირთვის დონეები, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენი სასტუმრო ბიზნესზე და, შესაბამისად, ფინანსურ შედეგებზე. კომპანია აქტიურად არის ჩართული მარკეტინგულ კამპანიებში და აფორმებს მართვის სხვადასხვა ხელშეკრულებას ცნობილ ბრენდებთან, რის გამოც ჩვენი სასტუმროები უფრო მიმზიდველი ხდება მომხმარებლებისთვის.

3. სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანია მუდმივად ცდილობს, შექმნას სოციალურად ორიენტირებული პროდუქტები და მომსახურება, პასუხისმგებლობით მიუდგეს ჩვენი ბიზნეს ოპერაციებს და განახორციელოს სპონსორობა და საქველმოქმედო საქმიანობა.

შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება

შრომის ჰიგიენას და უსაფრთხოებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო ბიზნესში და ამიტომ, მშენებლობის პროცესში შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების რისკების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, კომპანია რეგულარულად ატარებს ტრენინგებს და საგანმანათლებლო სემინარებს თანამშრომლებისა და კონტრაქტორებისთვის.

გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანია აცნობიერებს, რომ მის საქმიანობას გარემოზე როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედება აქვს. კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში ასახულია კომპანიის მიდგომა ამ საკითხისადმი. გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინება საბინაო მშენებლობის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპანია ქმნის ეკოლოგიურ პროდუქტებს, ვინაიდან აცნობიერებს იმას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს შენობების ენერგოეფექტურ დიზაინს მდგრადი განვითარებისთვის და მისი შენობები ენერგიის გრძელვადიანი დაზოგვის საშუალებას იძლევა, ამცირებს ნარჩენების წარმოქმნას და დაბინძურებას ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების გამოყენებით, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას.

ენერგიის, წყლისა და მასალების სულ უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით, კომპანია ამონტაჟებს ენერგოეფექტურ განათების სისტემებს და იყენებს შემცირებული ემისიების ფანჯრის მინებს და სხვა თანამედროვე საიზოლაციო მასალებს შენობების ფასადების დასაფარად.

გენდერული მრავალფეროვნება

ჩვენი კომპანია, როგორც დამსაქმებელი, სრულ მხარდაჭერას უცხადებს თანაბარ შესაძლებლობებს და ებრძვის უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციას. მიგვაჩნია, რომ მრავალფეროვანი სამუშაო ძალა დიდ სარგებელს იძლევა. გენდერული, სოციალური და ეთნიკური მრავალფეროვნება, კოგნიტური და პიროვნული ძლიერი მხარეები და უნარების, გამოცდილების, მიუკერძოებლობის და ცოდნის დაბალანსება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება, როდესაც საქმე ეხება ახალი თანამშრომლის, კლიენტის, მომწოდებლის თუ კონტრაქტორის აყვანას.

ადამიანის უფლებათა პოლიტიკა

ადამიანური რესურსების და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა კომპანიაში დასაქმებულთათვის განკუთვნილი პაკეტის განუყოფელი ნაწილია. იგი ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის და განახლებების მიწოდება ელექტრონულად ხდება. ადამიანის უფლებათა პოლიტიკა შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აღკვეთა;
- შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო;
- საჩივრების პოლიტიკა.

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენი შიდა პოლიტიკით განსაზღვრულია პრიორიტეტები და კონტროლის პროცედურები იმისათვის, რომ ყველას თანაბარი შესაძლებლობები შევუქმნათ და არ დავუშვათ დისკრიმინაცია ან შევიწროება ნებისმიერ ნიადაგზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების გამო. ჩვენი შიდა პოლიტიკა ეხება ყველა თანამშრომელს და მოიცავს სამუშაოზე დასაქმების (მათ შორის ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურები და იმ პირების დასაქმების გაგრძელების პროცედურები, რომლებმაც შრომისუნარიანობა კომპანიაში მუშაობის დროს დაკარგეს), პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის პროცესებთან დაკავშირებულ პროცედურებს.

კომპანიაში 2024 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 80 თანამშრომელს, რომლიდანაც მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი 50 % - ია.

ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიას აქვს ეთიკის კოდექსი, ასევე მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, ეთიკის კოდექსი და მექრთამეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის დანერგვა გულისხმობს შემდეგს:

- შიდა ინფორმირების და ცხელი ხაზის სისტემის ამუშავება;
- საჩუქრების ან სხვა სარგებლის გამჟღავნება, თანამშრომლების მიერ გაწეული ან მიღებული მასპინძლობის ჩათვლით;
- კორუმპირებული ქცევის ნებაყოფლობითი გამჟღავნება;
- მესამე მხარის შემოწმება მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკების დასადგენად;
- ბანკების/პარტნიორების/კონტრაგენტების ინფორმირება ანტიკორუფციულ და მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების შესახებ, მათთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებთან და მესამე მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო მუხლებს;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პარტნიორებთან/კონტრაგენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეიცავდეს მექრთამეობის და კორუფციის საწინააღმდეგო საკითხებს;
- ონლაინ ტრენინგების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და მექრთამეობის საკითხებზე.

მმართველობის ანგარიშების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი

გია ქათამაძე

25 სექტემბერი 2025 წელი

